ცდკა - “დინამო”

მოსკოვის ცდკა-სა და თბილისის “დინამოს” ფეხბურთის გუნდებს შორის 7 ოქტომბერს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ჩატარებულ მატჩს თბილისელთათვის მხოლოდ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ცდკა-სათვის კი არსებითი, რადგან გამარჯვება ამ უკანასკნელს კვლავ ჩემპიონის სახელს ანიჭებდა, დამარცხება _ მეორე ადგილს უქადდა.

თბილისელი მაყურებლები საინტერესო მატჩს მოელოდნენ და კიდეც გამართლდა მათი იმედი. თამაშს დინამოელები იწყებენ, იერიშებს კი _ მოსკოველები. უკვე მე-4 წუთზე ნიკოლაევი (ცდკა) ვერ იყენებს ანგარიშის გახსნის უდავო შესაძლებლობას. 5 წუთის შემდეგ თბილისელთა კარი კვლავ საფრთხის წინაშეა. ძიაშპას მიერ დაშვებულ შეცდომას მოჰყვა მოსკოველთა მარცხენა გარემარბის დიომინის ძლიერი კუთხური დარტყმა, მაგრამ მეკარე შუდრამ იგი მოიგერია.

თამაში მოსკოველთა ნახევარზე გადადის. ღოღობერიძე არღვევს დაცვის ხაზს და ბურთს აწოდებს საჯარიმო მოედნის ცენტრში მდგომ გ. ჯეჯელავას, რომელმაც შეუჩერებლივ გაგზავნა იგი სტუმრების კარში. ბადე შეირხა. ანგარიშია 1:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევარში ცდკა-ს თავდამსხმელთა ხუთეულმა (გრინინი, ნიკოლაევი, ბობროვი, ფედეტოვი, დიომინი) გააფთრებული იერიში მიიტანა თბილისელთა კარზე, მაგრამ “დინამოს” დამცველებმა მათ ანგარიშის გახსნის საშუალება არ მისცეს, მხოლოდ მე-16 წუთზე ბობროვმა შესძლო ანგარიშის გათანაბრება. თამაშის ტემპი თითქოს მინელდა, მაგრამ აი, გაგუამ თავის საჯარიმო მოედნიდან გაიტაცა ბურთი და მიუახლოვდა მოწინააღმდეგის კარს, შემდეგ კარგად გადასცა იგი აროშიძეს. მეკარე ნიკანოროვმა გამოაბრუნა აროშიძის ძლიერად დარტყმული ბურთი, მას მიუსწრო მახარაძემ და ზუსტი დარტყმით მოაქცია ბადეში, ანგარიშია 2:1. მოსკოველებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში თუ არა, ბურთი უცებ თბილისელთა საჯარიმო მოედანზე აღმოჩნდა. ელვისებურმა იერიშმა დამცველები დააბნია, ბობროვმა ამით ისარგებლა და ახლო მანძილიდან მეორედ გაარღვია თბილისელთა კარი. შემდეგ, მიუხედავად მრავალი საინტერესო მომენტისა, ანგარიში ბოლომდე არ შეცვლილა. მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.

თბილისის “დინამომ” ეს მატჩი განსაკუთრებული ენერგიით ჩაატარა. გამოირჩეოდა ახალგაზრდა დამცველი სარჯველაძე, რომელმაც გარდა იმისა, რომ საიმედოდ “ჩაკეტა” საშიში გარემარბი გრინინი, უვნებელჰყო აგრეთვე კართან შექმნილი მრავალი სახიფათო მომენტი. მეკარე შუდრამ რამდენიმე მეტად სახიფათო ბურთი აიღო. თავდასხმაში კარგი იყო გ. ჯეჯელავა და ა. ღოროობერიძე.

კ. მახარაძე.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 9 ოქტომბერი, 1947 წ.